ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმი

N 99
09/08/2019

99-09-4-201908091109


ელექტრონული აუქციონის ფორმით, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხული, გამოუსადეგარი ნარჩენი სამშენებლო მასალის საკუთრების უფლებით გაცემის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის №103 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №55 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების (დანართი1) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, დამოუკიდებელი აუდიტორის ი/მ ნოდარ ცისკარაძის 2015 წლის 20 სექტემბრის და 25 დეკემბრის აუდიტორული დასკვნის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2019 წლის 02 აგვისტოს N08/537 თანხმობის საფუძველზე

ვბრძანებ :

1. გაიცეს ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხული, გამოუსადეგარი ნარჩენი სამშენებლო მასალა, კერძოდ: სახურავის თუნუქის ფურცლები - 1984 კგ (785 კგ - ხულო; 846 კგ - შუახევი; 353 კგ - ქობულეთი); ალუმინის ფურცლები და ალუმინის მილები 499 კგ (ხელვაჩაური); ფანჯრის გისოსები - 64 კგ (ხელვაჩაური); რკინის კარი და ლითონის მავთულბადე - 203 (ხელვაჩაური) კგ;
2. მასალა დასაწყობებულია ხელვაჩაურის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს სატყეო ადმინისტრაციებში.
3. ელექტრონული აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 1578,81 ლარის ოდენობით;
4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს: 160 ლარის ოდენობით;
5. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის ბიჯი განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით;
6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მის მიერ საბოლოო დაფიქსირებული თანხა გადახდა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში – სახაზინო ანგარიშზე 300923282;
7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თანხის სრულად გადახდა, რის შემდეგაც მაგრამ არაუგვიანეს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღისა მასთან გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება;
8. ელექტრონული აუქციონის საქმის ნომერია 01-43/27.
9. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge.
10. სააუქციონო განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება და ფინანსური ოპერაციების შესრულება დაევალოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურს;
11. ბრძანების სათანადო პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთითვისვადაშიბათუმისსაქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონმდებლობითდადგენილიწესით.

თემურ ყურშუბაძე



სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა